# გოგონები მაკიაჟს იშორებენ – თიხა,ლინზები და ბევრი სხვა რამ…(ვიდეო)



**სამხრეთ კორეაში სილამაზის კულტი იმდენად არის გავრცელებული, რომ სამსახურში მიღებისას კანდიდატის გარეგნობას შესაძლოა დიდი მნიშვნელობა მიანიჭონ.**

დიდთვალება თოჯინის  სტანდარტი კორეელ ქალბატონებს მოსვენებას არ აძლევს, ამიტომ პლასტიკურ ქირურქებთან ყოველთვის დიდი რიგია . თუმცა სილამაზის მოყვარულებმა უფრო იაფი გზა გამონახეს – მაკიაჟი. მართალია, ეფექტი ხანმოკლეა, სამაგიეროდ ეკონომიური. იმისთვის, რომ ანიმეს პერსონაჟს დაემსგავსონ,  გოგონები იყენებენ ლინზებს, ხელოვნურ  წამწამებს, შინიონებსა და … თიხას, რომლის მეშვეობით ახდენენ სახის მოდელირებას.

“ტვიტერის” მომხმარებელმა  Cielito Lindo გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც ასახულია, თუ როგორ იცვლიან გოგონები გარეგნობას, იცილებენ მაკიაჯს და თიხას.

შედეგი გასაოცარი კი არა, შოკისმომგვრელია.